ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება
საარქივო სამმართველოს უფროსის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
ქ.ბათუმი

N 42
03/11/2015

42--4-201511031638

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველი საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით „საჯარო მოხელეთა ატესტაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის #47 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის, „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის #46 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 17 ივნისის #22 დადგენილებით დამტკიცებული საარქივო სამმართელოს დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართელოს მოხელეთა კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველი საპრეტენზიო კომისია შედეგი შემადგენლობით:

ა) **ელგუჯა ჩაგანავა -** საარქივო სამმართველოს ცენტრალური აპარატის უფროსი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) **ზურაბ დარჩიძე** - საარქივო სამმართველოს უფროსის თანაშემწე (აუდიტი), კომისიის წევრი;

გ) **ირმა ჯორბენაძე -** საარქივო სამმართველოს საფინანსო-საბუღალტრო განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საარქივო სამმართველოს უფროსის 2013 წლის 12 დეკემბრის #78 ბრძანება - ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველი საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ''.

3. კომისიამ უზრუნველყოს კონკურსში მონაწილე პირთა განცხადებების მიღება, განხილვა და გადაწყვეტილების წარდგენა საკონკურსო კომისიაში.

4. ბრძანების შესაბამისი პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს სამმართელოს ცენტრალური აპარატის კანცელარიამ.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭრის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში, მისამართი ქ. ბათუმი კ. გამსახურდიას ქ.#9 და ბათუმის საქალაქო სასამართლოში, მისამრთი ქ.ბათუმი, ს.ზუბალაშვილის ქ.#30, ერთი თვის ვადაში კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მაია ივანიშვილი

სამმართველოს უფროსი

ხელმძღვანელობა